

უმჯობესი

2020 წელი

№1

ყველზე მეტი რიცხვითა და გეგმებისათვის



შოკოლიტ-სარჩევი:



გოთ-მანის
სახალისო გაკვეთილები
გოზრეი ჭაუჭიძე

6



წიკმ-ვიკმ 1000
წიკმ-მამი
მამიამ წიკმად

8



რხიკვედა
დას ოფიციანტი

20



საქავშვმ ქეღაჩი
ვასო ბუღეური

22



კინო-მანი
მანი გახედსე

26



რიკმინი
ნიბო სადღობესილი

16



მეკამომ
მაკა დოკონენი

28



გადიკმ ხახვის
ბაკვეთილი
ბაად სუდაკური

29

საქართველოს ბაზაფხული


გივი ჭიჭინაძე

გაკვირტულა,
გაკვირტულა,
შინდის ტოტი გაკვირტულა!
ჩიტი დახტის შინდის ტოტზე,
განა ერთი,
ცხრა ჩიტუნა!

წყარო მთიდან მოჩუხჩუხე
ბარში დადგა, გაიტრუნა.
ცივ ჩქერს ჩიტი დაენაფა,
განა ერთი
ცხრა ჩიტუნა!

გაზაფხულდა,
ტყის ფერდობი
ჩითის ფერად დაჩითულა.
ჩიტი გალობს ტყის
ფერდობზე,
განა ერთი
ცხრა ჩიტუნა!

ნაწვიმარზე ცისარტყელამ
ცა მოხატა დიდებულად.
შეხე, ჩვენი საქართველო
როგორ აყვავილებულა!



მართან წაიქვანი მართანი

ერთმა პატარა გოგონამ
ზამთარში წამით ნახა და
ყინვისგან შეწუხებული,
პატარა ჩიტი დახატა...
მერე იქროლეს დღეებმა,
თებერვალს მოჰყვა მარტის თვე,
გამოიღვიძეს ხეებმა, –
თბილი ცრემლებით ატირდნენ...
და როცა თოვლი წავიდა,
ნახატად ქცეულ ფურცლიდან
ცაში აფრინდა ფრთოსანი, –
თურმე გაზაფხულს უცდიდა...

გუი ზილენაძე



გაზაფხულა

დათბა და კვერცხიდან
ინივლა წინილამ.
ბალახიც ამოდის მიწიდან.
ზამთარმა წასვლის წინ
იტირა, ინვიმა
და თოვლიც ერია იმ წვიმას...
დათბა და კვერცხიდან
ინივლა წინილამ.

ნინო არსენიშვილი

გაზაფხული

ენძელა და ყოჩივარდა –
გაზაფხულის მაყრები,
გარეთ გავალ, წვიმის წვეთებს
სიცელქეში ავყვები.
ახასხასებს მწვანე ბალახს
მიწა თბილი გულიდან,
თაგუნები, თხუნელები
მინდვრად ფერხულს უვლიან.
მერცხლები და წეროები
უკან გვიბრუნდებიან,
თბილ ქვეყნებში ჩვენნაირად
თურმე არა ხვდებიან.

ნინო პოდრეკოლაძე



გაზაფხული

პარია წიკოასური

მღერის ჩიტი-ჩიორა
ზამთრის გასვლის ამბავს.
ყოჩივარდა იქარგავს
საპატარძლო კაბას.

დაფარვატებს პეპელა
ნიავივით უხმოდ
გაზაფხული ეძახის,
მეგობრებთან უხმობს.

მწვანედ გადაბიბინდა
მინდორი და კორდი.
ნაკადული ანკარა
კისრისტეხით მორბის.

მზეო, მზეო, ცხრათვალავ,
შენც ფერხულში ჩადექ!
ჩვენთან დარჩი, მთის იქით
ღამეს რატომ ათევ

ვესხენები


ლოლა ცუცქიჩიძე

მერცხლებო, ჭიკჭიკელებო,
როგორ უხდებით ზეცას,
თითქოს კონცერტზე მიდიხართ,
თითქოს ფრაკები გეცვათ.

გთხოვთ, შემისრულოთ სურვილი,
გაფიცებთ ღამაზ კუდებს,
მოფრინდით, ჩემს ფანჯარაზე
ამოიშენეთ ბუდე.

ვითამაშებდი ბარტყებთან
დილით, შუადლით, ღამით...
დედისერთა ვარ, არავინ
მეთამაშება სახლში.





გიო - მასწავლებელი

სახალისო გაკვეთილები

გიორგი ჭაუჭიძე

გამარჯობა, გიორგის მასწავლებლის სახ(ა)ლისო გაკვეთილების მოსწავლეებო! დღეს ერთი უცნაური ზღაპარი უნდა წაიკითხოთ. შეძლებ გვერღმეა, როგორც წესი. რატომაა ეს ზღაპარი უცნაური? სათაურიც უცნაური აქვს, დასაწყისიც და შინაარსიც.

ჯერ დასაწყისი ვნახოთ: არც რა იყო არაფრისა, არც რა ჰქონდათ არაფრისი, ამბავიყო ზღაპრადთქმული, ამ ცისა და ამ ბარისი... ხომ ლამაზი დასაწყისია?! პირდაპირ გვეუბნება, რომ ზღაპარია და თან უცნაური.

ახლა სათაური ვნახოთ: „ზღაპარი ბაყაყ ბანბაყარზე“. ზღაპარი ბაყაყზე და ისიც ბანბაყარზე... სანამ წავიკითხავთ, ხომ გახსოვთ, რა უნდა გავაკეთოთ? რამდენიმე შეკითხვა დავსვათ და შევეცადოთ პასუხის გაცემას.

- როგორი შეიძლება იყოს ბაყაყი ბანბაყარი?
- რა შეიძლება უყვარდეს? რა არ უყვარდეს?
- რას შეიძლება ჭამდეს ბაყაყი?
- რაზე მიგვანიშნებს ბაყაყის სახელი? ბაყაყის რომელ თვისებაზე?

ვნახოთ, რაიმე ილუსტრაცია ხომ არ ახლავს ამ ჩვენს ზღაპარს? ნახეთ, აბა! რა შთაბეჭდილება შეგექმნა ზღაპრის მთავარ პერსონაჟზე?

სანამ კითხვას დაიწყებ, რამდენიმე სიტყვა განვიხილოთ, რომელიც ამ ზღაპარში შეგვხვდება. ეს სიტყვებია: ურგები, ქვანვია, ლიფსიტა, წურბელა, თიბათვე, მტკაველი, თაკარა.

- * ურგები – ისეთი ვინმე, რომელიც არავის არაფერში არგია.
- * ქვანვია – ისეთი ვინმე, რომელსაც სხვისთვის ყველაფერი ენანება.
- * ლიფსიტა – პატარა თევზია.
- * წურბელა – წყალში მცხოვრები ჭია.
- * თიბათვე – ივნისის ძველი ქართული სახელწოდებაა.
- * თაკარა – ძალიან ცხელი.
- * მტკაველი – კარგად გაშლილ ცერა თითსა და საჩვენებელ თითებს შორის მანძილია.

ეს ბოლო სიტყვა ზღაპარში სხვა მნიშვნელობითაა გამოყენებულ სხვა სიტყვასთან, საცერთან ერთად. საცერ-მტკავლობა ბევრ ლაპარაკსა და განხილვას ნიშნავს.

კარგი იქნება, თუ აქ განხილულ თითოეულ სიტყვას კარგად დაუკვირდები ტექსტშიც. ასე მათ მნიშვნელობას უკეთ გაიგებ.

კითხვის დროს არ დაგავინყდეს შეკითხვების დასმა და პასუხებზე ფიქრიც.

ბოლოს, თუ არ დაგეზარებათ, ერთი სცენა დახატეთ, წაკითხული ზღაპრის მიხედვით. ის სცენა, რომელიც ყველაზე მეტად დაგამახსოვრდათ. მე რომელი მომწონს, იცი? აი, ბანბაყარი რომ ფეხებგაფშეკილი აგდია თავის გუბესთან და სხვა ბაყაყები რომ თავზე ადგანან... თუმცა, ჯერ არ წავიკითხავს და ჯერ არ იცი...

აბა, წარმატებას გისურვებ!



არც რა იყო არაფრისა, არც რა ჰქონდათ არაფრისი, ამბავ იყო ზღაპრად თქმული, ამ ცისა და ამ ბარისი. იყო ერთი ბაყაყი, სახელად ბანბაყარი. მეტად ურგები და ქვანვია ვინმე კი იყო ეს ჩვენი ბანბაყარი! ერთი წურბელა რაა, იმასაც არ მიაწვდიდა გუბიდან გზადდამშეულთ.

თავად, იცოცხლე – მუცელპირად იჯდა გუბეში და როგორც ამბობდნენ, თვალის ახელასაც არ აცდიდა ახლადგამოქვირითებულ ლიფსიტებსა და წურბელებს – სულ ერთიანად იყრიდა ხახაში!

ეს, დღისით. ღამით კი, თვალი ცისკენ ჰქონდა მიმზერელი და რაცა კი ცას ვარსკვლავები დასცდებოდა იმ თავის გუბეში, სულ ერთიანად სვლეპდა და სვლეპდა ისიც ვარსკვლავებს!

და აი, თიბათვის ერთ ღამეს, ცას იმდენი ვარსკვლავი ჩაჰბნეოდა ბანბაყარის გუბეში, და ბანბაყარსაც იმდენი ვარსკვლავი ესვლიპა და ესვლიპა, დილით ფეხებგაფშეკილი იპოვეს მეზობლებმა გუბისპირას.

ამ ამბავს, საცერ-მტკაველის გარეშე არ ჩაუვლია;

ყველა სათავისოდ ცრიდა და მტკაველავდა:

– აბა რა ეგონა, სულ ერთიანად რომ

ჩამოკრიფა ციდან ვარსკვლავებიო, – ამბობდნენ ერთნი.

– აი, ბანბაყარი და მუცლის გვრემა მაგასო! – ხელისგულებს ასირგვალეზდნენ მეორენი.

– რა ბანბაყარი, რის ბანბაყარი, ნამდვილი ვარსკვლავთყლაპიააო! – იძახდნენ მესამენი.

– ცისა არ მიკვირს, ეს დალოცვილი, ერთ კაკალ ვარსკვლავს რატომ ჩემი გუბისთვის არ იმეტებსო?! – ბრაზობდა ბაყაყი რობი...

მერე როდის, როდის გათქვლაფაშდნენ ბაყაყები თავ-თავიანთ გუბეებში და ყველა გაფაციცებით შენატროდნენ ცის ვარსკვლავებად ჩამოღამებას...

ჰო, მართლა, ბავშვებო, ბანბაყარს არაფერი დამართია;

თვალი რომ გაახილა, იმავე წამს დახედა გუბეს, მაგრამ – რა, თიბათვის თაკარა მზეს სულ ბოლო წვეთამდე ამოეშრო მისი გუბე.


კიდევ კარგი...





მარია წიკლაძე

სპორტ-მედიცინა 1000



სპორტის დედა


სპორტის ისტორია გვაჩვენებს, როგორ ცდილობდა ადამიანი, ყოფილიყო ძლიერი, მოეპოვებინა თავისუფლება, საკვები, დაეცვა თავი, ოჯახი და გმირიც კი გამხდარიყო. ძველ საბერძნეთში, ოლიმპიადებზე გამარჯვებული სპორტსმენები სწორედ გმირებად იწოდებოდნენ.

მშობლიურ ქადაგებში მათ ქანდაკებებსაც კი დგამდნენ. მოდით, ნუ დავდვებით, ჩვენი ქანდაკებების აღმართვას და ჩვენივე ჯანმრთელობისა და წარმატებისთვის შევიყვართ სპორტი: პროფესიონალები თუ ვერა, მოყვარული სპორტსმენები მაინც ვიყოთ?! ვიართ ჰაერზე, ვინძინოთ, ბურთსაც გავკვიდით, თოვზეც გადავხვეთ, ვიყურაოთ, ველოსიკლითაც ვიქროლოთ. ნამდვილად არაფერი სჯობს გავაუებას და მეგობრებთან თამაშს – ყველა სპორტული სახეობის „სპორტის დედას“! ეს ფერმინი თქვენთვის მოვიგონე, „მანვის დედა“ ხომ გსმენიათ? „პურის დედა“? მაშ, სპორტსაც ხომ უნდა ჰქონოდა თავისი „სპორტის დედა“?! ეს თამაშია: დაქერობანა, ბურთაობა და სხვა. მაგრამ თამაში ცოცხლად და არა კომპიუტერის ეკრანთან! წარმოიდგინეთ მესი, რონადლო ან ფაჩუღია ერთ ადგილას რომ მჯდარიყვნენ ეკრანს მიხეწებურნი და თავდავიწყებით ან ევარჯიშით და ეთამაშათ?

სპორტის ახალი სახეობა „ეკრანობანა“

სპორტი აწითობს ადამიანს სხეულსა და ნებისყოფას ერთად! სპორტის უამრავი სახეობა არსებობს: სათამაშო, ბამთრის, საწყობის, ორთაბრძოლები, მაგიდის და სხვა სახეობები. და საუკეთესო მაჩვენებელს ნებისმიერ სახეობაში, რეკორდი ჰქვია. სპორტში ყველაზე დიდი ჯილდო ოლიმპიური ოქროს მედალია. სამწუხაროდ, ბავშვების და მოზარდების დიდი ნაწილი ისე მიუჯახვს კომპიუტერების, მობილურების, აპსალების ეკრანებს, რომ მალე აღბათ ისინი რეკორდებს დაამყარებენ სპორტის ახალ სახეობაში ეკრანთან ჯდომა ანუ ეკრანობანაში“. იმედია, შენ ან ბიხარ საათობით ეკრანთან, გაუნიავებელ ოთახში და კლავიატურის კაკუნში არ ამყარებ ახალ რეკორდს?

რისი „ნაიკი“, „ადიდასი“, „პუმა“, „ნებოკი“, „ბენეფონი“, „დაკოსცა“ და სხვა. ეს ის ფინშები, რომლებიც წლებია, აწარმოებენ საუკეთესო სპორტულ სამოსს, ფეხსაცმელს, ჩანთებს და აქსესუარებს. მაგრამ კომპიუტერებში ცხვირჩაყოფილ და ეკრანზე მიჯახვულ ადამიანს სპორტის ამ ახალ სახეობაში „ვარჯიში“ საღამურსა და წინებში ან პლედმოხვეულსაც შეუძლია. არადა, რამდენი ბოცასი და ბუცის გასაფეხით...





სპორტი-ლიტ ექტონინა

სპორტი

შვიფვართო უნდა ყველამ:
 ცურვა, ველო, ბურთის ღვენა.
 გვაჯანსაღებს თურმე სპორტი,
 ერთი, ორი! სმენა! სწორდით!
 ებო, სკვერი, ესეც პარკი,
 დიდ-პაფარა ყველგან დარბის,
 სავსე არის ყველა კორტი.
 კუდჭურაა თურმე სპორტიც.
 გამხდარს, მსუქანს, ბანჯებს, მარდებს,
 გაკაჟება ყველას გვმართებს!
 თასებს, პრიზებს, მედეებს, რეკორდს
 იქნებ ჩვენი ძაღაც ეყოს?
 ვსინჯოთ, მოვიწადინოთ,
 სხუელს ოფდი ვადინოთ!
 სპორტი ითხოვს მუდმივ რეჟიმს!
 ხომ გავუძლებთ ყველა შეჯიბრს?
 არ ყოფიდა ადვილი
 ეს პირველი ადგილი!
 წუნინებს თუ მაწიებს,
 გეიმებს თუ რაუნდებს,
 განა შევუშინდებით,
 ღინსუელად გავუძლებთ!
 სარბენ ბიდიკს, სცადიონს,
 დარბაბს, აუბს, ცრეკს,
 ხშირად უნდა ვესწუმროთ
 მეც და შენც!


სპორტის რა სახეობას
 მისდევდა „მიდი-მოადე“ არჩილ
 სულაკაურის წიგნში „სალამურას
 თავგადასავალი“?

1. კარატეს;
2. ჭიდაობას;
3. კრივს;
4. ფიგურულ სრიალს;



რა ერქვა ძალოსანს,
 რომელსაც პეპი ეპაექრა
 ცირკის არენაზე?

1. არისტოფანე;
2. ადოლფი;
3. სოკრატე;
4. კირილე;



რა ჰქვია ნანა ვაციშვილის წიგნს,
 რომლის რომლის მთავარი გმირიც
 ფეხბურთელი მურთაზია?

1. „ცხვირა ჩემპიონი“;
2. „მარდი ჩემპიონი“;
3. „ნამდვილი ჩემპიონი“;
4. „დიდყურა ჩემპიონი“;



ჰანს ქრისტიან ანდერსენი



თოჯის დედოფალი, ჩაღის ჯარისკაცი, საძაგედი იხვის ჭაუგი, ქაჯთოვზა, ჰრინჯესა მუხუდოს მარჯვადზე, ნამცხვსა...
დარწმუნებული ვარ, უკვე მიხვდით, რა ართიანებით ამ, ყვედასთვის ჩარგად ნაწნობ და საყაროჯ გმირებს. რა თქმა უნდა – მებლაპრე, ვინც ეს უკვდავი გმირები გამოივონა და ორ საუკუნეზე მეტია, მსოფლიოს ჰაერსაგან ყვედაზე საყაროჯ მებლაპრედ რჩება.

ყველაზე პირველი ზღაპარი

არც ისე დიდი ხნის წინ დანიაში, ერთ-ერთ არქივში აღმოაჩინეს ანდერსენის ყველაზე პირველი ზღაპრის ხელნაწერი, რომელსაც „ქონის სანთელი“ ეწოდება და რომელსაც აქამდე არავინ იცნობდა. როგორც სპეციალისტებმა დაასკვნეს, მომავალმა მებლაპრემ ნაწარმოები ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს დაწერა.



ვილჰელმ პედერსენის ილუსტრაცია შექმნილი „თოჯის დედოფლისათვის“. 1949 წელი.



„თოჯის დედოფალი“


ზღაპარი ასეთი „ყინულოვანი“ სახელწოდებით თითქმის 200 წელია, ათბობს პატარების გულს მთელ მსოფლიოში. „თოჯის დედოფალი“ ანდერსენმა 1844 წელს დაწერა. ის კი დღემდე ბავშვების უსაყვარლეს ზღაპრად რჩება. ეს არის ამბავი პატარა გოგონა გერდასა და ბიჭუნა კაის მეგობრობაზე, ნამდვილ მეგობრობასა და სიყვარულზე, რომელიც ადნობს თვალში ჩავარდნილ ჯადოსნური სარკის ნატებს და ყოვლისშემძლე თოჯლის დედოფალსაც კი ამარცხებს. თუმცა ამისთვის გოგონას მრავალი სიძნელისა და ფათერაკის გადალახვა უწევს.
ამ ნაწარმოების მიხედვით ბევრი ფილმი და მულტიპლიკაციური ფილმია გადაღებული. იდგმება სპექტაკლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების თეატრებში.

1805 წლის 2 აპრილს ოდენსის ყველაზე ღარიბულ ქუჩაზე, ღარიბულ სახლში დაიბადა დიდი მებლაპრე, ჰანს ქრისტიან ანდერსენი.

14 წლისამ დატოვა მშობლიური სახლი და კოპენჰაგენში გაემგზავრა, როგორც ზღაპრებში ამბობენ ხოლმე, ბედის საძებნელად. და იპოვა კიდევ... მისი პირველი ნაწარმოები 1829 წელს გამოქვეყნდა. ეს იყო ლექსი „მომაკვდავი ბავშვი“.

საბავშვო წიგნის დღე

2 აპრილს, ჰანს ქრისტიან ანდერსენის დაბადების დღეს აღინიშნება საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე. აღდგენილი 1967 წელს, საბავშვო ლიტერატურის საერთაშორისო საბჭოს მიერ დაწესდა და აღინიშნება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში.



კალის ჯარისკაცუნა

ანდერსენი არასოდეს იმორებდა პატარა კალის ჯარისკაცუნას, რომელიც ღარიბმა ბიჭმა აჩუქა და ვარდის ფურცლებს, რომელიც პატარა ცისფერთვალემა გოგონამ გაუწოდა ქუჩაში სეირნობისას. ეს ნივთები ჯილდოებსა და ქანდაკებებზე დიდი საჩუქარი იყო მისთვის. ჯარისკაცსაც და ვარდის ფურცლებსაც ის სასოებით ინახავდა ზარდახშაში. ხშირად ეხებოდა თითებით, ყნოსავდა გამხმარ ვარდის ფურცლებს და იხსენებდა პოეტ ინგემანის სიტყვებს: „თქვენ გაქვთ ნიჭი, ჭუჭყიან წყალშიც კი მარგალიტი იპოვოთ. გაუფრთხილდით, არ დაკარგოთ ეს ნიჭი. იქნებ ეს თქვენი მისიაა!“

ანდერსენის ოქროს მედალი

1956 წელს დანიის საბავშვო და საყმანვილო ლიტერატურის საბჭოს მიერ დაწესდა ჰანს ქრისტიან ანდერსენის სახელობის ოქროს მედალი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ გაიცემა. ენიჭებათ საბავშვო ავტორებს და პრესტიჟულ საერთაშორისო ჯილდოდაა მიჩნეული. მას ხშირად „პატარა ნობელის პრემიასაც“ უწოდებენ. მედლის დაწესების ინიციატორი საბავშვო ლიტერატურის დიდი მოღვაწე, ელე ლეპმანი იყო. მასვე ეკუთვნის ცნობილი ფრაზა: „აჩუქეთ ჩვენს ბავშვებს წიგნები და თქვენ მათ აჩუქებთ ფრთებს“.

1872 წელს ანდერსენი ავად გახდა. სამი წლის შემდეგ, 1875 წლის 4 აგვისტოს კოპენჰაგენში, ვილა „როლიგჰედში“ გარდაიცვალა. დაკრძალულია ასისტენის სასაფლაოზე, კოპენჰაგენში. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ჰანს ქრისტიანმა მოიწვია კომპოზიტორი ჰარტმანი და დაკრძალვისთვის მარში შეუკვია. თანაც სთხოვა, რომ მუსიკის რიტმი ბავშვების ნაბიჯების ტემპისათვის მიესადაგებინა. სურდა, რომ დაკრძალვის ცერემონიალში ბავშვებს მიეღოთ მონაწილეობა. ჰანს ქრისტიან ანდერსენმა სამოცდაათი წელი იცოცხლა და 50 ტომი დაწერა – რომანები, პოემები, პიესები, ნარკვევები, და რაღა თქმა უნდა, ზღაპრები.



ენძელა



ზამთარია... ქარი ძვლებში ატანს... მინაში კი თბილა. თავის ბოლქვში შეყუჟულ ყვავილს თოვლქვეშ აქვს თავი შეფარებული. ნვიმა დაინყო. ნვეთებმა გაარღვიეს თოვლის საფარი, ჩააღნიეს ყვავილის ბოლქვამდე და მინის ზევით არსებულ სამყაროს შესახებ უამბეს მას.

– როდის მოვა გაზაფხული? – ამას ეკითხებოდა ყველა ახალ სტუმარს – მზის სხივებს, რომლებიც მინაში აღწევდნენ. მაგრამ გაზაფხულმადე ჯერ ადრე იყო.

– როგორ მომბეზრდა! – ამბობდა ყვავილი. – ველარ ვისვენებ! – ყვავილი ადგა, გაიზმორა და თავის თხელ, მინისგან გამთბარ და მზის სხივებისგან დარბილებულ გარსს მიანვა და ნელ-ნელა ზევით აინია. თან ღეროზე დამაგრებული, ღია მწვანე კვირტი მიჰქონდა. თოვლში ამოყო თავი. თოვლი ცივი, მაგრამ გამჭვირვალე იყო და მასში იოლად გაიარა.

– კეთილი იყოს შენი მობრძანება! – სხივები ეფერებოდნენ და კოცნიდნენ. თოვლივით თეთრმა და ქათქათამ, მორცხვად დახარა თავი.

– მშვენიერო ყვავილო! – მღეროდნენ მზის სხივები, – რა ნაზი და ფაქიზი ხარ! შენ აბრუნებ გაზაფხულს! შენ გვამცნობ მის მოახლოებას! მალე შენი მეგობრებიც გამოჩნდებიან: აყვავდება იასამანი და ყვითელი აკაცია, შემდეგ ვარდები. მაგრამ შენ პირველი ხარ, ასეთი ნაზი, ასეთი გამჭვირვალე!

ყვავილსაც ისე უხაროდა, ეჩვენებოდა, თითქოს ირგვლივ ჰაერიც კი მღეროდა, მაგრამ გაზაფხულამდე ჯერ შორს იყო. დაუბერა ცივმა ქარმა...

– ნაადრევად ამოხვედი! – უთხრეს ყვავილს. – ძალა ჯერ ჩვენს მხარეზეა! ყოფილიყავი შენთვის სითბოში, სად გეჩქარებოდა, რომ მოდიოდი!

ისევ აცივდა. მოქუფრული, ცივი დღეები გაინელა. ისეთი ამინდები დადგა, რომ ყვავილს გაყინვა დაემუქრა. მას ძალას ჰმატებდა იმის რწმენა, რომ გაზაფხული აუცილებლად მოვა. ერთგულად ელოდა, ხოლო მზის სხივები უდასტურებდნენ, რომ ლოდინი ამაო არ იქნებოდა. იდგა ასე, სიყვარულით, იმედით და რწმენით, თეთრ სამოსში განყობილი თეთრ თოვლზე, როცა ცვიოდა თეთრი ფანტელები და უბერავდა ცივი ქარი.

– გაიყინები, დაჭკნები! – ეიბნებოდნენ ყვავილს, – რა გინდოდა აქ? ჩამოგიტყუეს სხივებმა! მოგატყუეს! ეჰ, ენძელა!

– ენძელა! – აყრიამულდნენ ბავშვები და ბაღში გაცვივდნენ. – აი აქაა, პატარა, მშვენიერი, პირველი ყვავილი!

ამ სიტყვებმა მზის სხივებივით გაათბო ყვავილი. სიხარულისაგან ვერც კი იგრძნო, როგორ მოწყვიტეს და აღმოჩნდა პატარა ხელებში. ბავშვის ბაგეები კოცნიდა მას. შემდეგ თბილ ოთახში წაიღეს და წყალში ჩადეს. ყვავილი გაცოცხლდა, გაიფიქრა – ნამდვილად გაზაფხული დადგაო.

გოგონას, რომელიც ამ სახლში ყველაზე უფროსი შვილი იყო, გულითადი მეგობარი ჰყავდა.

– მოდი, გავეხუმრები. იფიქრებს, რომ ჩვენთან უკვე გაზაფხულია! – თქვა გოგონამ, აიღო ნაზი ყვავილი და სურნელოვან ქალაქში ჩადო, რომელზეც ეწერა ლექსი ენძელაზე. ლექსი ინყებოდა სიტყვით „ენძელა“ და სრულდებოდა სიტყვებით „ახლა, ჩემო მეგობარო, მთელი ზამთარი სულელად დარჩები“. ყვავილი კონვერტში აღმოჩნდა. ბნელოდა! თითქოს ისევ ბოლქვში დაბრუნდა! მერე გაემგზავრა. საფოსტო ჩანთით სად აღარ ატარეს, რაც ნაკლებად სასიამოვნო იყო, მაგრამ ესეც დასრულდა.

წერილი პატრონამდე მივიდა. გახსნეს და წაიკითხეს. მეგობარი ისეთი კმაყოფილი დარჩა, დაკოცნა ყვავილი და ლექსთან ერთად უჯრაში შეინახა. უჯრაში სხვა წერილებიც ეწყო, მაგრამ არც ერთში არ იღო ყვავილი. ენძელა იყო, ერთადერთი, მაგრამ ყვავილს ეს აღარ ახარებდა!

გავიდა ზაფხული, გავიდა კიდეც ერთი ზამთარი, ისევ დადგა გაზაფხული და მხოლოდ მაშინ ამოიღეს. ამჯერად ახალგაზრდა აღარ იყო ისეთი მხიარული. მან ისეთი გაბრაზებით დაუნყო წერილს ძებნა, რომ ფურცელი იატაკზე დავარდა და ენძელა ამოვარდა. ეს ლუმელში დანვას სჯობდა, სადაც ყველა წერილს უკრეს თავი. რა მოხდა? ენძელამ მოატყუა ახალგაზრდა – გაეხუმრა. გოგონამ ის მოატყუა – მან ახალი მეგობარი გაიჩინა.

დილით მზემ გაანათა დაჭმუჭნული ენძელა, რომელიც იატაკზე მიხატულს ჰგავდა. გოგონამ იპოვა ის და ერთ-ერთ წიგნში ჩადო. იფიქრა, რომ ყვავილი შემთხვევით გადმოვარდა. ენძელა კვლავ ლექსებს შორის აღმოჩნდა, ამჯერად დაბეჭდილ ლექსებს შორის.

გავიდა წლები. წიგნი თაროზე იდო. მაგრამ ერთხელაც აიღეს, გადაშალეს და კითხვა დაიწყეს. კარგი წიგნი იყო: დანიელი პოეტის ამბროსი სტუბას ლექსები და სიმღერები. ადამიანი, რომელიც წიგნს კითხულობდა, გადაფურცლა.

– ენძელა! ტყუილად ხომ არ ჩაუდევთ აქ! საბრალო სტუბა! შენც ენძელასავით იყავი შენს მოძმეებს შორის! შენ ძალზე ადრე გამოჩნდი, დროს გაუსწარი, სახლიდან სახლში ხეტიალი მოგიწია, ხან ლარნაკში და გალექსილ წერილში ჩადება მოგიხდა. კი, ენძელა იყავი, მაგრამ იყავი პირველი, ნორჩი, დანიელი პოეტი. დარჩი აქ, ენძელავ! აქაა შენი ადგილი.

და ენძელა კვლავ ჩადეს წიგნში. გახარებული იყო, როცა გაიგო, რომ სიმღერების ამ მშვენიერ კრებულში ტყუილად არ ჩაუდევთ. რომ თავად მომღერალიც ისეთივე ენძელა იყო, რომელსაც ზამთარი მწარედ გაეხუმრა. ენძელამ ყველაფერი თავისებურად გაიგო, ისევე როგორც ჩვენ ყველაფერს ჩვენებურად ვიგებთ.

ესეც ზღაპარი ენძელაზე.



რა ჰქვიათ

მოდით, ბავშვებო, ჩემოყვემო,
რომელ პატარას რა ჰქვია,
დათვი რომ დაიბადება,
განა მაშინაც დათვია.



პატარა დათვი ბელია,
ლეკვი – პატარა მგელია,
ლიფსიტა თევზის შვილია,
ნუკრი – პატარა შველია.

კურდღლის შვილია ბაჭია,
ბაცაცა – ციცქნა ბოცვერი,
პატარა ღორი გოჭია,
პატარა ლომი – ბოკვერი.



კამეჩის პირმშო – ყოყინა,
პატარა ბატი – ჭუჭული,
პატარა თაგვი – წრუნუნა,
პატარა ვირი – ჩოჩორი.



ძროხის ნაშიერს ხბო ჰქვია,
კატის შვილი კი – კნუტია,
პატარა ცხვარი – კრავია,
პატარა მტრედი – ხუნდია,



პატარებს

პატარა ცხენი – კვიცია,
ხოხბის პატარა – ლაპია,
არწივის შვილი – მართვია,
ზაზუნას შვილი – ღლაპია,

წინილა ქათმის შვილია,
ფოთრი – პატარა ჯიხვია,
პატარა სპილო – სპლიყვია,
ბჟიტი – პატარა იხვია.

შევარდნის შვილი – ქულაა,
ფარშევანგისა – ნამლევი,
ინდაურისა – ჭუკია,
კობაკი – ნორჩი აქლემი,

პატარა თხაა ციკანი,
ბარტყი – პატარა შაშვია,
ყვავის შვილია ბახალა,
ადამიანის – ბავშვია.

უჰ! დავიღალე, ამდენი
არც კი მახსოვდა, თუ იყო.
ნეტავი კუს შვილს რა ჰქვია,
კუსუსუნა თუ კუიკო?

6 ხიპოტიზი



წინა საღობო კლასიკური

გაზაფხული ახლოვდება. ბუნება ზამთრის ღრმა ძილიდან გამოვა და მწვანე თვალებით გაგვიღიმებს. გაზაფხულის მაცნეებს შორის კი ყველაზე დედოფლური, იდუმალი და ჯადოსნური აღუბლის ხეების ყვავილობაა – ვარდისფერად გადაპენტილი სიხარული დედამიწაზე.

იაპონიაში აღუბლის ყვავილს საკურას უწოდებენ და მისი ყვავილობა ლამის ეროვნულ დღესასწაულადაც აქვთ ქცეული, რადგან მიაჩნიათ, რომ აღუბლის ყვავილობით იწყება გაზაფხული, ესე იგი – ახალი სიცოცხლე. იაპონელები ყოველი წლის გაზაფხულზე ადგენენ საკურას ყვავილობის რუკას და პროგნოზს, სადაც ზუსტადაა ნაჩვენები, რომელ ქალაქში როდის ჰყვავის აღუბალი. ასეთივე სადღესასწაულო განწყობა აქვთ შვედეთშიც, სადაც, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ზამთარი გაცილებით დიდხანს გრძელდება და მზე და სითბო ყველას ენატრება.

აღუბლის, იგივე საკურას ყვავილობას შვედეთის დედაქალაქის – სტოკჰოლმის ქუჩებში, უამრავი ტურისტი თავის ფოტოებში აღბეჭდავს ხოლმე. იქნებ ეს ბედნიერება რომელიმე თქვენგანს უკვე ეწვია და საკუთარი თვალთ უნახავს? თუ არადა, წინ ვეებერთელა სიხარული და სილამაზით გაცეცება გელოდებათ, ამიტომ, აუცილებლად

რომელი წიგნის გმირები ცხოვრობენ აღუბლების ქუჩაზე?

- ა) პამელა ტრევერსის „მერი პოპინსი“;
- ბ) არჩილ სულაკაურის „სალამურას თავგადასავალი“;
- გ) ოტია იოსელიანის „დაჩის ზღაპრები“;
- დ) ასტრიდ ლინდგრენის „მადიკენი“;

რას ჰქვია ქანი როდარის გმირს წიგნიდან „ხიპოტიზოს თავგადასავალი“?

- ა) აღუბლიკო;
- ბ) აღუბალუჩა;
- გ) აღუბლიანა;
- დ) აღუბალი;



ზაღბი



ჩაინიშნეთ მომავლის სურვილებში – საკურას ყვავილობის დროს მოხვდეთ შვედეთში!..

თუმცა, სასიხარულო სიახლეც გვაქვს. სულ ახლახანს თბილისის ბოტანიკურ ბაღშიც დარგეს საკურას ნერგები და მალე, შესაძლოა, შვედეთში ან იაპონიაში წასვლა სულაც აღარ დაგჭირდეთ.

მანამდე კი, ერთ რჩევასაც მოგცემთ – თუ გინდათ, რომ ალუბლის აყვავებული ბაღების სურნელი იგრძნოთ, ამ თავბრუდამხვევ სურნელში, თეთრ-ვარდისფერ დღესასწაულში ფიქრებით იმოგზაუროთ, გადაშალეთ ყველა ბავშვის საყვარელი შვედი მწერლის – ასტრიდ ლინდგრენის წიგნები და თავად განიცადეთ, რასაც ამ დიდი მწერლის გმირები განიცდიდნენ, როცა ხანგრძლივი და ცივი ზამთრის მერე მათ ქუჩებსა და სოფლებშიც დგებოდა გაზაფხული და პირველ მაცნეებად სწორედ აყვავებულ ალუბლებს გზავნიდა!

ნახეთ, რა ძალა აქვს უცხო ქვეყანა ნანგიალაში მოხვედრილი ძმები ლომგულებსთვის ალუბლის აყვავებულ ბაღებს, ან რა იდეებს აღარ მოაფიქრებინებს ალუბლის ბაღებში თამაში ბიულერბიულ ბავშვებს! კიდევ რომელი წიგნები გახსენდებათ, სადაც ალუბლის ბაღი რაღაც იმაზე მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ ხეხილის ბაღი?

ასეთ წიგნებს რა დალევს. უფრო მეტიც, შეიძლება თქვენც გიტრიალებთ თავში რაღაც სიუჟეტი, სადაც მოქმედება სწორედ აყვავებული ალუბლის ხის ძირში ხდება. რა საინტერესოა! რა სიამოვნებით მოგისმენდით!..

გაზაფხული კი, სულ მალე, ალუბლის ყვავილებით შემოაბიჯებს და როგორც ჩვენი ბებოები დაგვლოცავდნენ ხოლმე, მეც ისე გეტყვით: იმდენ გაზაფხულს დაესწარით, რამდენ ყვავილსაც ეს ბაღები გამოისხამენ!



რომელი წიგნის გმირები მოხვდნენ ალუბლის ვეჯზე სიკვდილის შემდეგ?

- ა. ჰანს ქრისტიან ანდერსენი „გოგონა ასანთით“;
- ბ. ასტრიდ ლინდგრენი „ძმები ლომგულები“;
- გ. გოდერძი ჩოხელი „ცასწავალა“;
- დ. ნოდარ დუმბაძე „ძალლი“;



რომელი წიგნის გმირებმა შექმნეს „ალუბლის სასაქციო საზოგადოება“?

- ა. ჯანი როდარი „ჯელსომინოს თავგადასავალი“;
- ბ. არტურ მილნი „ვინი პუჰი“;
- გ. ნინო ნაკაშიძე „ულუ და თეთ“;
- დ. ასტრიდ ლინდგრენი „ბიულერბიულელი ბავშვები“;

ხალიჩების მქსოველი გოგონა

ერთ სასახლეში ცხოვრობდა გოგონა, მეზადის შვილი. დიდი გამრჯე და მშრომელი გახლდათ. ხან მამას ეხმარებოდა ყვავილების მოვლაში, იმიტომ, რომ ყვავილები ძალიან, ძალიან უყვარდა. ხან ოჯახში საქმიანობდა – დედა არ ჰყავდა და საჭმელს მამას და და-ძმას ვინ გაუკეთებდა?! ის ხომ ყველაზე უფროსი იყო. ხანაც ხალიჩებს ქსოვდა, მერე კი ყიდდა, რომ მამას დახმარებოდა ოჯახის რჩენაში. ერთხელ როცა თავისი ხალიჩა ბაღში გამოიტანა და გასაშრობად გაფინა, სასახლის პატრონის ვაჟმა დაინახა და ხალიჩის სანახავად ბაღში ჩავიდა. ვაჟი გოგონას შეესტკეპროდა ფერად-ფერად ყვავილებს, რომლებიც ხალიჩიდან უცინოდნენ და ესიყვარულებოდნენ. იკითხა – ეს ხალიჩაო ვისიაო. – ჩემიაო – უპასუხა გოგონამ. ვაჟმა ხალიჩა იყიდა და სახლში წაიღო – იატაკზე დავაფენ და მეგონება, თითქოს ყვავილების ბაღში დავდივარო.

გოგონამ ახლა სხვა ხალიჩის ქსოვა დაიწყო. ვაჟმა ფანჯრიდან გადმოიხედა და ახლა ხალიჩაზე დახატული ვარსკვლავებიანი ცა დაინახა. ეს ხალიჩაც ძალიან მოეწონა და იყიდა – ჭერზე გავაკრავ და ყოველთვის ვარსკვლავებიანი ცა მეხურება თავზეო. მათ ქვეყანაში ხომ სულ წვიმდა, მონმენდილ ვარსკვლავებიან ცას



იშვიათად თუ ნახავდა ადამიანი. გოგონას ვაჟი ძალიან მოსწონდა, ამიტომ ახალ ხალიჩაზე გოგონა და ბიჭი დახატა, რომლებიც გზაზე ხელიხელჩაკიდებული მიდიოდნენ, გარშემო კი ულამაზესი მთები და ზღვა იყო. ვაჟმა ეს ხალიჩაც იყიდა.

სასახლეში ერთი კუდიანი დედაბერი ცხოვრობდა, სასახლის პატრონს ენა მიუტანა – თქვენს ვაჟს და მებაღის ქალიშვილს მგონი ერთმანეთი მოსწონთო. სასახლის პატრონმა გადანყვიტა, გოგონა გადაემალა და ცხრაკლიტულში ჩასვა. გასაღებს კი მუდამ თან ატარებდა. მონყენილმა გოგონამ მცველებს სთხოვა, საქსოვი დაზგა და ძაფები მიეტანათ. ამჯერად გოგონას ხალიჩა მხოლოდ შავ-თეთრი გამოვიდა. ღამით მოქსოვილი შავი იყო, დღისით მოქსოვილი – თეთრი. დაამთავრა გოგონამ ხალიჩის ქსოვა და მცველებს სთხოვა, პატრონის ვაჟისთვის მიეტანათ, იქნებ მოსწონებოდა და ეყიდა, ფული კი მამამისისთვის მიეტანათ. ვაჟმა შეხედა და გოგონას ნახელავი იცნო, მოიკითხა, სად არისო. – დაიკარგაო, – უპასუხეს მცველებმა. ვაჟი მიხვდა, რომ გოგონა დატუსაღებული იყო. – შავ-თეთრს ტყუილად არ დახატავდაო, – იფიქრა. მცველს სთხოვა, გოგონასთან მიეყვანა. გუშაგს ძალიან ეცოდებოდა ქალიშვილი, ამიტომაც წაიყვანა. როცა ვაჟი გოგონასთან შევიდა, ისევ შავ-თეთრ ხალიჩას ქსოვდა. გაეხარდათ ერთმანეთის დანახვა. გადანყვიტეს, მოესხათ ეს ხალიჩები შავ-თეთრი ზოლებით და ისე გაპარულიყვნენ გარეთ, მაგრამ კუდიანმა დედაბერმა მაინც შეამნია ქალ-ვაჟი. მაშინ მათ მინდორს მიაშურეს, რომ არ შეეპყროთ. ქალ-ვაჟმა ღმერთს სთხოვეს დახმარება. სირბილისას ისინი ზოლებიან ზებრებად იქცნენ, რომლებიც დღესაც დაჰქრიან უკიდევანო ტრამალებში, რომ ვერავინ შეძლოს მათი დაჭერა. მათ ფეხქვეშ ყოველთვის ყვავილებიანი ველია, თავზე ვარსკვლავებიანი ცა დაჰყურებთ.

მხატვარი ია ბიჭმანაშვილი

ლელო ცუცქიძე

ხსირკედელო



მართალია, თებერვალი ზამთრის ბოლო თვეა, მაგრამ მე სულ მგონია, რომ გაზაფხული თებერვლით იწყება. ალბათ იმიტომ, რომ სწორედ ამ დროს იღვიძებენ ყვავილები, გემრიელად იზმორებიან და ჭი-ტა! ხან ერთი ამოჭყიტება მიწიდან, ხან მეორე, ხან მესამე... მოდი, ჩვენც ყვავილი გავაკეთოთ. თანაც ახალგაღვიძებულივით გაჩეჩილ-გაბურძგნული ყვავილი.



ამისთვის დაგჭირდება: ფანქარი, სახაზავი, მაკრატელი, ნებო, კოქტიელის ჩხირი და სამი სხვადასხვა ფერის ფურცელი. აქედან ერთი - აუცილებლად მწვანე, ორი - ნებისმიერი ფერის. მე ვარდისფერი და თეთრი ავირჩიე.



გადაკეცე ფურცელი განივად. ფურცლის ღია კიდიდან დაახლოებით 1 სმ-ის მოშორებით, სახაზავის დახმარებით გაავლე სწორი ხაზი.





ახლა მიყევი მაკრატლით და მიდიი! მთელი ფურცელი ამ სწორ ხაზამდე ჭერი და ჭერი! რაც უფრო წვრილად ჩაჭრი, უკეთესია. ზუსტად იგივე გაიმეორე მეორე ფურცელზეც.



მწვანე ფურცელი გაჭერი შუაზე. ერთ ნაწილს კიდეზე წაუსვი ნებო, ირიბად დაახვიე კოქტიელის ჩხირზე, ბოლო კიდეც გადაანებე და გამოაძრე კოქტიელის ჩხირი. ეს ყვავილის ღეროა.

კარგად დააკვირდი ფოტოს. ერთი დაჭრილი ფურცლის კიდეები ერთმანეთს დააშორე და ისე დაანებე. აიღე მეორე დაჭრილი ფურცელი, გაშალე, გადამოატრიალე და უკანა მხრიდან ისიც ისე დაანებე, როგორც პირველი.




ახლა ყვავილის ანცობის დროც დადგა. ერთ-ერთ ფურცელს ჩაუჭრელ ზოლზე ნაუსვი ნებო და ნელ-ნელა შემოახვიე უკვე მზა მწვანე ღეროზე, ისე, როგორც ფოტოებზეა ნაჩვენები.

ზუსტად ისევე შემოახვიე ღეროზე მეორე დაჭრილი ფურცელიც.

იმისთვის, რომ ყვავილი უფრო გაიბურძგნოს, შეგიძლია ხელითაც მიჩეჩ-მოჩეჩო.



ესეც ასე! გაბურძგნული ყვავილების თაიგული უკვე ლარნაკში დევს და ჩემთან ერთად გაზაფხულს ელოდება. შენც დაელოდე შენს გაბურძგნულ ყვავილთან ერთად გაზაფხულს!





ვასო
გულოყური

საბაუმუკო მკუჭოინარია

ალოუბლის
კექსი

ამ მცენარის ყვავილობა იაპონიაში განსაკუთრებული დღესასწაულია და გაზაფხულის მოსვდას ეგებებიან. მარცხის ბოდოდან აპრილის შუა რიცხვებამდე იაპონიის ქადაქები ვარდისფერი ყვავილებით არის გადაპენფიდი და საამური სურნელი დგას. ეს აღუბადია - საკურა, იაპონიაში ბოგიერთი სახეობა დეკორაციულია, თუმცა არის ისეთებიც, რომედიც ნაყოფს იძლევა. აღუბრის გემრიელი, ოდნავ მომჟავო, ცვბიდი და სურნელოვანი ნაყოფი მგონი, ყვედას უყვარს. მართადია, ჯერ მხოლოდ ახდა დაინყებს აყვავებას, მაგრამ მაისში უკვე მწიფე აღუბადიც იქნება და მოდით, აღუბრისგან უგემრიედესი კექსის მომზადება ვისნავდოთ.

ფრთხილად გატეხე 2 კვერცხი, დაამატე 1 ჭიქა შაქრის ფხვნილი და კარგად ათქვიფე. უმჯობესია, ხელით. თუმცა, თუ ხელი დაგელალა, შეგიძლია ელექტროსათქვიფიცი გამოიყენო. უმჯობესია, თუ ამ დროს სამზარეულოში უფროსი დაიკო ან ძამიკოც იქნება. შემდეგ დაამატე 150 გრამი კარაქი. კარაქის შეკვრაზე ხშირად მონიშნულია ყოველი 50 გრამი, და ამით ზუსტად შეგიძლია განსაზღვრო რაოდენობა. მერე კი 150 გრამი არაჟანიც დაამატე. 150 გრამი რამდენია? ერთი მოზრდილი ჭიქა. ცოტა მეტი ან ნაკლები თუ იქნება, ეგ არაფერია. ისევ ათქვიფე კარგად. დაამატე ნახევარი ჩაის კოვზი საჭმელი სოდა – ფუმფულა რომ გამოვიდეს და ცოტაოდენი ვანილი – კექსის განუმეორებელი სურნელებისთვის.

ახლა კი ფქვილის დროა – თანდათანობით დაამატე და ათქვიფე. ზუსტი რაოდენობა თავად განსაზღვრე – იმდენი ფქვილი სჭირდება, რომ ცომი არაჟნის სისქისა გამოვიდეს.



გამზადე მრგვალი ფორმა. უმჯობესია, სპეციალური საცხობი ქალაღი ჩაფინო. თუ არ გაქვს, ეგეც არაფერია. ძირზე ცოტაოდენი კარაქი მოუსვი და ცოტა ხნით შედგი ღუმელში. მერე ფრთხილად გამოიღე, რომ ხელი არ დაინვა. ამისთვის კი სამზარეულოს სპეციალური ხელთათმანი გამოიყენე.

დროა, გამზადებული ცომი ჩაასხა. გაათანაბრე ფორმაში და ზემოდან წინასწარ კურკაგამოცლილი ალუბალი დაალაგე – გაითვალისწინე, რომ გარეგნულადაც ლამაზი გამოვიდეს. ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელ - როცა ალუბალი არ გაქვს, შეგიძლია სხვა ხილი ან კენკრაც გამოიყენო. მაგალითად, თხლად დაჭრილი ატამი, გარგარი ან რომელიმე კენკრა.

ახლა შედგი ღუმელში და დაელოდე, გამოცხვეს. დაახლოებით 40 წუთი საკმარისია.

სურნელოვანი კექსიც მზადაა. შეგიძლია, მეგობრები დაპატიჟო და შენი ნახელავით თავი მოიწონო.

პასუხი

ქუჩი

გაიღვიძა დიდით ბუბმა
და მაშინვე ისუბმა.
რა მიირთვა?
ერთი ვაშლი,
ორი კვერცხი – შავი ქათმის,
სამი ცალი იყო ძეხვი
(მდოგვით, მაგრამ მაგას არ თვდის).
ოთხი ქიქა ყავაც შესვა,
დააყოლა ხუთი კექსი.
ბოდოს – თეთრი შოკოლადი,
რამდენი და – ბუსცად ექვსი.
საუბმე რომ დაასრულა,
თუმცა იყო ისევ დიდა,
დრო ცყვილად არ დაკარგა
და მაშინვე ისადილა.

რა მიირთვა?
ყველაფერი,
რაც ბაზარში უყიდია!
როგორ ქამა?
გამოცნობა
ახლა თქვენთვის მომინდვია!




ზღაპრების გმირების



ბრემენელი მუსიკოსები – ეს მხიარული ზღაპარი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია პოპულარული. მის გმირებს – ვირს, მამალს, ძაღლსა და კატას ძეგლი მის სამშობლოში, ბრემენში დაუდგეს, 1951 წელს. სკულპტურა ქალაქის სიმბოლოდ იქცა. ის ზღაპრის იმ ფრაგმენტს ასახავს, როცა ცხოველები პირამიდას აკეთებენ, რომ ყაჩაღები შეაშინონ. მოგვიანებით მსგავსი ძეგლები ციულპიხსა და რიგაშიც დადგეს.

პიტერ პენის პირველი ქანდაკება თავად მწერალმა შეუკვეთა მოქანდაკე ჯეიმს ფრამპტონს და 1912 წლის 30 აპრილის ღამით ჩუმად დადგა კენგსინტონის ბაღში, როგორც საპირველმისო სიურპრიზი ლონდონელი ბავშვებისათვის. ქანდაკების სახელწოდებაა „პიტერ პენი – ბიჭი, რომელსაც გაზრდა არ სურდა“. პარლამენტმა მეთიუ ბარი თვითრეკლამაში დაადანაშაულა, თუმცა, სკანდალის მიუხედავად, ის დღემდე სამეფო პარკში დგას.

ქანდაკების ასლები მოგვიანებით დამზადდა და სხვადასხვა ქალაქებში განთავსდა: ბრუსელში (ბელგია), ლივერპულში (ინგლისი), ტორონტოში (კანადა), ბოურინგ-პარკში (ინგლისი), სენტ-ჯონსში (ნიუფაუნლენდი, კანადა), კამდენე (აშშ), პერტე (ავსტრალია).



ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში ჯერ კიდევ 1959 წელს დადგეს ულამაზესი სკულპტურა „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“. სკულპტურა ლუის კეროლის ცნობილი ნიგნის პირველი გამოცემის ილუსტრაციის მიხედვით შეიქმნა. სკულპტურის შუაგულში სოკოზე ზის ალისა. მის გვერდით სხედან მექუდე, და კურდღელი, რომელიც საათს ჩასცქერის.

ქანდაკეები




ტოსკანაში, ცნობილი იტალიელი მწერლის, კარლო ლორენცინის (კოლოდი) მშობლიურ სოფელში, პინოქიოს პარკში პინოქიოს ხუთმეტრიანი სკულპტურა დგას. პარკში კი მოზაიკის პანოა ზღაპრის სიუჟეტებით. ამ პარკში ოცზე ოცზე მეტი ბრინჯაოს სკულპტურაა – მელა ალისა, კატა ბაზილიო, ლოკოკინა და წიგნის სხვა გმირები.



პირველად პატარა უფლისწულის ძეგლი უკრაინელ ბავშვებს ფრანგულმა კულტურის ცენტრმა საჩუქრად გადასცა 2010 წელს, მაგრამ ის სამწუხაროდ ისე დააზიანეს, რომ ახალი სკულპტურის დამზადება გახდა საჭირო. 2011 წელს ის აღადგინეს და ახლაც ამშვენებს პეიზაჟების ხეივანს კიევში.

ჰანს ქრისტიან ანდერსენმა ეს ზღაპარი 1837 წელს ზღვის მეფის ასულზე დაწერა, რომელსაც უფლისწული შეუყვარდა. ამბობენ, რომ ის ავტორის ყველაზე საყვარელი ნაწარმოები იყო. „ქალთევზას“ დღესაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის შემოქმედებაში და სიყვარულის, ერთგულების, თავგანწირვის სიმბოლოდაა ქცეული. ამიტომაც, რომ ყველა, ვინც დანიის დედაქალაქს ეწვევა, თავის მოვალეობად მიიჩნევს ქალთევზას ქანდაკება მოინახულოს. ეს ქანდაკება 1913 წელს ცნობილმა მეცენატმა, კარლ იაკობსონმა დაუკვეთა, რომელმაც ამ ზღაპრის მოტივებზე შექმნილი ბალეტი ნახა და ქალთევზას როლის შემსრულებელი ბალერინა, ჯულიეტა პრაისი შეუყვარდა. ქანდაკება კოპენჰაგენის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ღირსშესანიშნაობაა. მისი სიმაღლე 1 მეტრი და 25 სანტიმეტრი. ქალთევზა ზღვის ნაპირზე, ქვაზე ზის და ზღვას გაჰყურებს.

ოდენისს ქუჩებში ანდერსენისა და მისი ზღაპრების გმირების 18 ქანდაკება დგას.





კინო - მარჯნი

მარი გახლოძე




კონკიას ბლავარი ერთი-ერთი ყველაზე „მოხეცადე“ სიუჟეტია, რომელიც არაერთმა მწერადმა დაამუშავა და თავისი ვერსია შესთავაზა მკითხველს. მაგადითად, შარდ პერომ, ძმებმა გრიმებმა, ჯამბაფისცა ბაბიძემ. თუმცა ყველა შემთხვევაში, კონკიას გმირი კეთილი, დამაბი და შრომისმოყვარე გოგონას, რომელსაც ბოროტი დედინაცვადი ჰყავს.

კონკია არა მხოლოდ წიგნებშია ასეთი პოპულარული. მასზე უამრავი ანიმაციური და მხატვრული ფილმია გადაღებული.

„კონკიას“ ყველაზე ახალი ეკრანიზაცია კინოსტუდია Walt Disney Pictures-ს ეკუთვნის. 2015 წელს რეჟისორმა კენეტ ბრანმა გადაიღო ფენტეზის ჟანრის ფილმი კრის ვაიცის და ლილი ჯეიმსის სცენარის მიხედვით. ფილმი დისნეის 1950 წელს გადაღებული მულტფილმის რიმიეცია. მთავარ როლებს ფილმში ლილი ჯეიმსი და რიჩარდ მედენი ასრულებენ.






ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, კეთილი და ყველასთვის საყვარელი ფილმი 1973 წელს გადაიღეს ჩეხოსლოვაკიის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (არსებობდა ასეთი ქვეყანაც) კინოსტუდიებმა „ბარანდოვი“ და „დეფა“. მეფის სასახლის სცენები ფილმში გერმანიაში დრეზდენთან ახლოს, მორიცბურგის ციხე-სიმაგრეშია გადაღებული. ხოლო დედინაცვლის სახლი ჩეხეთის ქალაქ შვიგოვოს მახლობლად, პატარა ციხე-სიმაგრეში გადაიღეს. ფილმის სიუჟეტი ძმები გრიმების მიერ გადამუშავებულ კონკიას ზღაპრზე დაყრდნობით სცენარისტმა ბოჟენა ნემცოვამ დაწერა. ულამაზესი კონკიას როლს ჩეხი მსახიობი ლიბუშე შაფრანკოვა ასრულებდა, ხოლო უფლისწულს ასევე ჩეხი მსახიობი – პაველ ტრავნიჩეკი.



„კონკიას“ ერთ-ერთი ყველაზე ძველი ეკრანიზაცია 1947 წელს კინოსტუდია „ლენფილმში“ რეჟისორებმა ნადეჟდა კომევეროვამ და მიხეილ შაპირომ გადაიღეს. ამ ფილმს შარლ პეროს ზღაპარი დაედო საფუძვლად. ფილმი, რა თქმა უნდა შავთეთრი იყო, მაგრამ 2009 წელს მოხდა მისი რესტავრაცია და „გაფერადება“. კონკიას როლს იანინა ჟეიმო, ხოლო უფლისწულის როლს ალექსი კონსოვსკი ასრულებდნენ.




მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ფოლკლორში „კონკიას“ ათასზე მეტი ვერსიაა გავრცელებული. მათგან ყველაზე ძველი ეგვიპტურ პაპირუსებზეა აღმოჩენილი. ესაა ზღაპარი საბერძნეთში დაბადებულ გოგონაზე, სახელად როდოპისი, რომელიც მეკობრეებმა მოიტაცეს და ეგვიპტეში მონად გაყიდეს. მეპატრონემ მას ტყავის სანდლები აჩუქა. ხოლო როცა გოგონა მდინარეში ბანაობდა, არნივმა მას ერთი ცალი სანდალი მოპარა და ფარაონის ფეხებთან დააგდო, როცა ის ვილაცას ასამართლებდა. ფარაონი ისე გააოცა სანდლის ზომამ და სილამაზემ, რომ მისი პატრონის ძებნა დაიწყო. როცა გოგონას მიაგნო, შეუყვარდა ის და ცოლად მოიყვანა.




მასკაჯოკო



პაკა ლოკონენი



მას შემდეგ, რაც სატკბილეთის ქვეყნის შესახებ შევიტყვე და დიდი სიამოვნებითაც ვიმოგზაურე მის გემრიელ კუთხე-კუნჭულებში, ვცდილობ, რაც შეიძლება ბევრ ბავშვს მოვანდომო იქ გამგზავრება. დაძალება მჭირდება-მეთქი, ნამდვილად ვერ დავიჩივლებ. დავიწყებ თუ არა იქაურობის აღწერას, პატარები დასრულებას არ მაცდიან, სატკბილეთის დედაქალაქ კარამელიისკენ თავქუდმოგლეჯილები გარბიან!



რატომ? პასუხი მარტივია: კარამელიას ქუჩებში ხომ ასფალტის ნაცვლად ირისი გახლავთ დაგებული, მის შუაგულში მოჩუხჩუხე ლიმონათის მდინარეს შოკოლადის ჯებირები იცავს, სახლები მურაბის ქილებს ჰგავს, ქალაქში ხან ფორთოხლის მზე ანათებს, ხან ტკბილი ნვიმა მოდის, სეტყვის ნაცვლად კი შაქარ-ყინულის ნატეხები ცვივა. კარამელიელები სამსახურის დასრულებიდან შუალამემდე თავდავინწყებით ცეკვავენ, ამიტომ ხარაზ ლანჩას სახელოსნო ქუსლებდამტვრეული და ძირგავარდნილი ფეხსაცმელებით არის სავსე. სატკბილეთს სამეფო ოჯახიც შესაფერისი ჰყავს – მუდამ ილიმიან და პირიდან შაქარი ამოსდით. მეფეს კარამელიუსი ჰქვია, დედოფალს – მარმელადინა, მათი ასულს კი – მშვენიერი რაფაელა.

თუმცა, სატკბილეთი მხოლოდ პირის ჩასატკბარუნებლად და საცეკვაოდ როდი იზიდავს დიდსა თუ პატარა მკითხველს. მის ავტორს, ირმა

მალაციძეს იქ უამრავი საინტერესო პერსონაჟი დაუსახლება: კეთილლიმილიანი მეზაღე ძია თხილო, მზრუნველი გადია ფუნთუშინა, მისტერ და მისის კაქტუსოების ეკლიანი ოჯახი, განუყრელი მეგობრები ბზუილა და ჭიამაია, სასახლის საქმეთა მმართველი ამურთუხუცესი, მეზაღის ქალიშვილი ვარდია, მევიოლინე ბიჭუნა ლინოვიო, აფთიაქარი ალთეუსი და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი უცნაური სახელი შეგხვდებათ ამ წიგნის ფურცლებზე.

ჩვენი უგემრიელესი ამბის მთავარი გმირი კი პატარა, ობოლი ბიჭუნა ნიგო გახლავთ, რომელსაც თავზე კაკლის ნაჭუჭი ახურავს და შაქარყინულის ჩაკნატუნება უყვარს. მაგრამ... მთავარი გმირი რისი მთავარი გმირია, გზას თუ არ გაუდგა და სახიფათო მოგზაურობამ არ ჩაითრია. წინააღმდეგობებით სავსე გზაზე ნიგოს უკან თუ გაჰყვებით, მასთან ერთად თქვენც უამრავ ახალ ნაცნობსა თუ მეგობარს შეიძენთ. და... როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ბოროტებასაც გადაეყრებით. დიახ, დიახ, თურმე სატკბილეთსაც შეიძლება ჰყავდეს მტრები სამწერეთის სამეფოს ბინადრების სახით: მეფე ნესტარ მეორე, დედოფალი ზაზუ, მხედართმთავარი ბუზანკალი, გენერალი ფუტკარა და სარდალი ტარაკან ყრუ.

აბა, რას იტყვით, მზად ხართ სატკბილეთში სამოგზაუროდ? თუ კი, იქ გასამგზავრებელი ბილეთის შეძენას წიგნის ნებისმიერ მაღაზიაში შეძლებთ!



ზალოკოს ხატვის გაკეთილები



დავხატოთ ნიგო




შეაკეთე კროსვორდი ისე, რომ წითელ უჯრებში მიიღო სიტყვა „სატკბილეთი“

პორიბონცადურად:

1. მისტერ კაქტუსოს ვაჟი;
2. მისტერ კაქტუსოს ასული;
3. ძია თხილოს ბოროტი ბატონი, რომელმაც დაატყვევა ნიგო და მისი ბიძა;
4. სატკბილეთის მეფე;
5. სამწერეთის დედოფლის ობოლი ძმისწული;
6. ტკბილეული, რომელსაც აგებდნენ სატკბილეთის ქუჩებში ასფალტის ნაცვლად;
7. სატკბილეთის პრინცესა;
8. ნიგოს ბიძა;
9. მთავარი გმირი, რომელსაც კაკლის ნაჭუჭის ქუდი ეხურა;
10. ხელმწიფის ვეზირი;
11. მებაღის ასული, პრინცესას მეგობარი;
12. რისი მზე ამოდიოდა სატკბილეთში?
13. რისი აბები იყიდებოდა ალთეუსის აფთიაქში?

ვერცხადურად:

1. ყველაზე ტკბილი ქვეყანა;
2. სამწერეთის დედოფლის მოახლე;
3. ტკბილეული, რომლის ქილის ფორმაც ჰქონდათ სატკბილეთში სახლებს;
4. პრინცესა რაფაელას გადია;
5. ხარაზი, რომელიც სატკბილეთელების დახეულ ფეხსაცმელებს აკერებდა;
6. პრინცესას სეფე-ქალი;
7. აფთიაქარი;
8. მოხეტიალე მუსიკოსი;
9. სამწერეთის ხელმწიფე;
10. სამწერეთის დედოფალი;
11. სატკბილეთის დედოფალი;
12. ტკბილეული, რომლითაც გაუმასპინძლდნენ ნიგო და თხილო წრუნუნას.





აღწერის იტალიური მწერალი ბიოჩი პეტროსია



- რომელი იყო წიგნი, რომელიც პირველად წაიკითხეთ დამოუკიდებლად?**
 – ნამდვილად არ მახსოვს, მახსოვს რომ მშობლები მიკითხვადნენ ხოლმე, მათ შორის მარკ ტვენის „უფლისწულსა და მათხოვარს“.
- თქვენი საყვარელი სამი საბავშვო მწერალი.**
 – ასტრიდ ლიდგრენი, გივი ჭიჭინაძე, ნოდარ დუმბაძე.
- თქვენი საყვარელი სამი საბავშვო წიგნი.**
 – ლინდგრენის „ემილის თავგადასავალი“, სულაკაურის „სალამურას თავგადასავალი“, ჯადოსნური ზღაპრები – ქართული თუ უცხოური. თუ საბავშვოდ ჩავთვლით, მარკ ტვენის „ტომ სოიერის თავგადასავალი“ და შემდეგ „ჰეკლბერი ფინი“ განმსაზღვრელი წიგნებია ჩემს ცხოვრებაში.
- როდის დაწერეთ თქვენი პირველი საბავშვო წიგნი და რომელია ის?**
 – ჩემი პირველი წიგნი „თომას ზღაპრებია“.
- თქვენი ნაწარმოებებიდან რომელია ყველაზე საყვარელი?**
 – სწორედ „თომას ზღაპრები“, იმიტომ რომ ამ წიგნმა უამრავ შესანიშნავ პატარას შემახვედრა, საქართველოსა და თუ უცხოეთში.
- როგორ იგონებთ პერსონაჟებს?**
 – საკუთარი თავი და ის ბავშვები, მათ შორის ჩემი მოსწავლეები, ყოველდღიურად რომ ვხვდები. საბავშვო მწერალი ერთი მხრივ, უნდა საზრდოობდეს საკუთარი ბავშვობით და მეორე მხრივ, ეცადოს და იყოს ახალი თაობის თანამედროვე. ბენვის ხიდია, მაგრამ აუცილებლად გასაველელი.
- ახალ წიგნზე თუ მუშაობთ?**
 – ეს არის „თომას ზღაპრების“ მეორე წიგნი, რომელზეც პატარა მხატვარ ნიკოლოზ ლოლაძესთან ერთად ვმუშაობთ. შესანიშნავი პროცესია და მრავალმხრივ საინტერესო. მადლობა ნიკალოს ამ შანსისთვის.
- თქვენი ზღაპრების გმირებიდან რომელია ყველაზე კეთილი?**
 – ალბათ, ბუ ბაიბურა. ის უპირობოდ კეთელია. ბაიბურას სარგებელი მხოლოდ ამ სიკეთის ქმნიდან მიღებული სიამოვნებაა.
- რის წაკითხვას ურჩევთ პატარებს?**
 – აუცილებლად მოითხოვონ თანამედროვე ქართველი მწერლების გამოცემები.

მთავარი შოკოლიტელი: ირმა მალაციძე
 შოკოლიტმცოდნე: მარიამ ნიკლაური
 დანარჩენი შოკოლიტელები: ლელა ცუცქერიძე, ვასილ გულეური, რობერტ მესხი, დიანა ანფიმიადი, გივი ჩილვინაძე, ნინო სადღობელაშვილი
 შოკ-დიზაინერი: ნიკა ხვედელიძე



ISSN 2587-4888

ყურნალი გამოდის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.

საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდი „ლიბო“
 ელ-ფოსტა: jurnali.Shokoliti@gmail.com



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო



მწერალთა
სახლი



წიგნის ჭია-ჭაია

ახალი წიგნები



ამ სახალისო ბარათებით ცხოველთა სამყაროს გაიცნობ და ბევრ საინტერესოსაც გაიგებ მასზე, დაათვალიერებ ლამაზ ილუსტრაციებს, პატარა მხიარულ ლექსებსაც ისწავლი და დააწყვილებ ბარათებს – ყველა დედას თავის შვილს აპოვნინებ. ამასობაში მათ სახელებსაც დაიმახსოვრებ.
(ავტორი – ნათია ჯანაშია, გამომცემლობა „პალიტრა L“)

„უჩვეულო კვირადღე“, ცნობილი საბავშვო ავტორის, მარიამ ნიკლაურის, პირველი ორენოვანი წიგნია, რომელსაც თან ახლავს ქართულ-ინგლისური ლექსიკონი და საინტერესო აქტივობები ორივე ენაზე. ამბავი დიდ ქალაქში ხდება. მოთხრობა ბავშვებისა და ცხოველების მეგობრობაზეა. ნაიკითხეთ და შეიტყვეთ, რა გადახდა თავს ელენესა და სანდროს მეგობარ ციყვებს, ბობოსა და ბუბას, რომლებიც ქალაქში დაიკარგნენ... წიგნის ილუსტრატორია იულია ნიკოგოსოვა. ინგლისური თარგმანი კი მანანა მათიაშვილმა შეასრულა. ეს ბილინგვური კრებული გამოსცა გამომცემლობამ „ბაკმი“. (რედაქტორები: რუსუდან მოსიძე, ედვინა ჰუკი)



ზღაპრებს რა გამოლევს. ისინი ყოველთვის გამოიკვლევენ გზას ჩვენკენ – მკითხველებისკენ. მთავარია, ყურადღებით მოუფსმინოთ მშვენიერი სამყაროს გულისცემას, ბუნების ხმებს, ამღერებულ წვიმას... აი, ხის ძირას წინწკლებიანი სოკო მიყუყულა; მიუახლოვდები, რათა კარგად დაათვალიერო, ასე ლამაზად დაწინკლული სოკო ჯერ არსად გინახავს. მოულოდნელად, წინწკლებიანი ქუდი გადაიწევა, ტყის ბინადარი ქონდრისკაცი შემოგხედავს და თვალსაც ეშმაკურად ჩაგიკრავს. ეს წინწკალაა, მასაც ძალიან ბევრი რამ აქვს შენთვის სათქმელი...
(ავტორი – ნუნუ ქადაგიძე „წინწკალა“; „ელფის გამომცემლობა“)

